პროლეტარელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი
სამშაბათი
17 ივნისი
№ 139 (17782)
ფასი 2 კაპ.

## ინიციატორთა სიტყვა მტკიცედ!

**ცხაკაია.** (საკ. კორ.). მიმდინარე წლის 15 მაისს, როცა რაიონის მეჩაიეები რესპუბლიკაში ჩაის ფოთლის კრეფაში ჩამორჩენის მოკლე დროში დაძლევის ინიციატორებად გამოვიდნენ, დამზადებული ჩაის ნედლეულის დანაკლისი 1600 ტონას შეადგენდა. **ერთსულოვანი, თავდადებული გარჯით მეჩაიეებმა 15 ივნისისათვის მოკრიფეს და ფაბრიკებს ჩააბარეს 4.481 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც 52 ტონით მეტია შარშანდელი შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე.**

ნაკისრი სოციალისტური ვალდებულების რეალიზაციისათვის ბრძოლაში თავი ისახელეს უშაფათის, ფოცხოს, ხორშის და ლეძაძამის კოლმეურნეობებმა, გეჯეთის ჩაის საბჭოს მეურნეობამ, ჩაის კრეფის ეოველდღიურ დავალებებს გადამეტებით ასრულებენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ეთერ დადიანი, მოწინავე მკრეფავები მარგო და მზიური ბუკეები, მერი პარკაია, გული ქვარცხავა, გულნარა ჩიჩუა, ვარდო ადამია და სხვ. ცხაკაელები 11.250 ტონა ჩაისათვის წარმატებით იბრძვიან.

### ცხაკაელ მეჩაიეთა წარმატება

## მხატვრული გამოფენა

საბჭოთა ხალხის სულიერ ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებს სახვითი ხელოვნება. ფერწერის, ქანდაკების, გრაფიკის, გამოყენებითი და მონუმენტური ხელოვნების ნაწარმოებებს ჩვენ მარტო საგამოფენო დარბაზებსა და მუზეუმებში როდი ვხედავთ. ისინი სულ უფრო ხშირად ჩვენი თანამგზავრები ხდება ყოფა-ცხოვრებაში, სამუშაოზე, დასვენების დროს, აკეთილშობილებს გრძნობებსა და აზრებს.

კლასიკად, ჩვენს ეროვნულ სიამაყედ ქცეული ფერწერული ტილოები, ქანდაკებანი, მემორიალური ანსამბლები გამსჭვალულია მათ შემქმნელთა ჰუმანისტური იდეალებითა და ოპტიმიზმით. ფუნჯისა და საჭრელის ოსტატთა ერთ-ერთი სახელოვანი ტრადიციაა მისწრაფება — თავიანთი ნაწარმოებებით ხელი შეუწყონ პიროვნების ჰარმონიულ განვითარებას, საბჭოთა ადამიანებისათვის აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის, მებრძოლთა, პატრიოტთა და ინტერნაციონალისტთა თვისებების ჩანერგვას.

„მიმდინარეობს ცხოვრების ცოდნით ხელოვნების გამდიდრების და, მეორე მხრივ, კულტურის ღირებულებებისათვის მშრომელთა მრავალმილიონიანი მასების შემდგომი ზიარების ცხოველმყოფელი პროცესი“, — თქვა სკკპ XXV ყრილობისადმი საანგარიშო მოხსენებაში ლ. ი. ბრეჟნევმა. ამ სიტყვებით დახასიათებულია ჩვენი სინამდვილის ნიშანდობლივი თავისებურება — სოციალისტური რეალიზმის ხელოვნების მჭიდრო კავშირი ცხოვრებასთან, მისი უღრმესი დემოკრატიზმი.

სსრ კავშირის მხატვართა კავშირი მასობრივი შემოქმედებითი ორგანიზაციაა, რომლის საქმიანობა ძნელი წარმოსადგენია უგამოფენებოდ. ყოველწლიურად ჩვენს ქვეყანაში იხსნება ხუთი ათასამდე ექსპოზიცია, რომელთა დამთვალიერებლების რიცხვი ათ მილიონს აღწევს. ესთეტიკური აღზრდის დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი ხდება სახალხო სურათების გალერეები. საგულისხმოა, რომ ამჟამად გამოფენები მოქმედებს არა მარტო ქვეყნის დიდ ქალაქებში, არამედ დაშორებულ რაიონებშიც, ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის უდიდეს ახალშენებლობებზე. მიმდინარეობს მხატვრულ ღირებულებათა აქტიური გაცვლა მოძმე რესპუბლიკებს შორის.

ზონალური, რესპუბლიკური და საკავშირო გამოფენების ფონზე, სადაც დამთვალიერებლები ხვდებიან მხატვრებს, ნახულობენ ხელოვნებისადმი მიძღვნილ ფილმებს, მოწაწილეობენ ექსპოზიციათა განხილვაში, სულ უფრო ხშირად ეწყობა მხატვართა კავშირების გამგეობათა გამსვლელი სესიები. ფუნჯისა და საჭრელის საბჭოთა ოსტატების ნამუშევართა დიდი დათვალიერება გაიმართა ახლახან თბილისში, რომლის შედეგები შეაჯამეს სსრ კავშირისა და რესპუბლიკის მხატვართა კავშირების გამგეობათა გაერთიანებულ პლენუმზე. ამგვარი ღონისძიებანი, უეჭველია, აფართოებს ხელოვნების ზემოქმედების სფეროს, უფრო ეფექტიანსა და ქმედითს ხდის მის პროპაგანდას. საბჭოთა კულტურის ნამდვილ დღესასწაულად იქცა ყოველწლიური „სახვითი ხელოვნების კვირეულები“.

შესამჩნევი მოვლენა გახდა ახალგაზრდა მხატვართა გამოფენები, აქტიურდება მათი მონაწილეობა რესპუბლიკურ და საკავშირო დათვალიერებებში. ეს ნათლად გვიჩვენა დიდმა ექსპოზიციებმა — „საბჭოეთის ახალგაზრდა გვარდია“, „მიწა და ადამიანები“, „ჩვენ ვაშენებთ ბამს“, „ფიზიკური კულტურა და სპორტი სახვითი ხელოვნების ნაწარმოებებში“, „სამშობლოს ცისფერი გზები“. შთამბეჭდავია ლენინიანის ნაწარმოებთა ჩვენება და წიგნის ილუსტრაციის საკავშირო გამოფენა, ახალგაზრდათა გამოფენები, რომლებსაც სსრ კავშირის სამხატვრო აკადემია აწყობს. მაგრამ უეჭველ წარმატებებთან ერთად ახალგაზრდა მხატვართა შემოქმედებაში ვხედებით ნეგატიურ მოვლენებსაც. ყოველთვის არ იგრძნობა მისწრაფება ნაწარმოებების ღრმა შინაარსისადმი, ხშირად გადაყოლილი არიან ფორმალიურ ძიებებს, ზოგჯერ კი აშკარად ბაძავენ ნაირ-ნაირ ფორმალისტურ მიმდინარეობებს.

საშუალო და უმაღლესი სამხატვრო სკოლის მასწავლებლების, შემოქმედებითი კავშირების, მათი პარტიული ორგანიზაციების, კომკავშირის, გამომცემლობების, მხატვრული კრიტიკის მუდმივი ზრუნვის საგანია აზიარონ შემოქმედი ახალგაზრდობა ცხოველმყოფელ რეალისტურ ტრადიციებს, გაუღვიძონ ახალგაზრდა ოსტატები საარსებო მოთხოვნილება — სახვითი ხელოვნების ენით ილაპარაკონ ჩვენი ცხოვრების მთავარ მოვლენებზე, თავიანთი თანამედროვეების პატრიოტულ საქმეებსა და ნანუკვარ ოცნებებზე.

სსრ კავშირის მხატვართა კავშირი IV პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა კიდევ უფრო სრულმყოფელი საგამოფენო მუშაობა. ეს იმით არის გამოწვეული, რომ ზოგიერთი ექსპოზიცია თითქმის არავითარ გონებრივ ხაზრდოს არ იძლევა, აღარიბებს მხატვართა შემოქმედებითი ძიების პანორამას. ფართო დათვალიერებისათვის წარმოდგენილი ცალკეული მდარე ნამუშევრების გამო უკმაყოფილებას გამოხატავენ თავიანთ წერილებში, „პრავდის“ მკითხველებიც.

თითოეული ექსპოზიცია — ჯერხონალური იქნება თუ ჯგუფური, თემატიკური თუ ჟანრული, რესპუბლიკური თუ საკავშირო, — ეს არის მხატვრის საპატიო ტრიბუნა, ხაზოგადოებრივ ცხოვრებაში მისი ნაწარმოებების მონაწილეობის ძირითადი ფორმა. აი რატომ არის საჭირო, რომ ამა თუ იმ ექსპოზიციის განხილვა მისი მონაწილეებისათვის იყოს პროფესიული ოსტატობის სკოლა, აძლევდეს მათ შემდგომი შემოქმედებითი ძიებების საიმედო ორიენტირებს.

გამოფენების მოწყობისას არ უნდა ავიჭარდეთ, არ უნდა გამოვედენოთ რაოდენობას მხატვრული ხარისხის, პროფესიული ღირსების ხაზიანად. ამას მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ ადგილობრივმა პარტიულმა კომიტეტებმა.

კალენდარზეა მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წელი, სკკპ XXVI ყრილობისათვის საბჭოთა ადამიანების აქტიური მზადების წელი. ყოველივე ეს ჩვენს ქვეყანაში ქმნის ატმოსფეროს, რომელმაც არ შეიძლება ნაყოფიერი გავლენა არ მოახდინოს სახვითი ხელოვნების ოსტატთა საქმიანობაზე. მათ მონაწილეობა უნდა მიიღონ ისეთ პასუხსაგებ დათვალიერებებში, როგორიც არის ახლანდელი ხუთწლედის შემაჯამებელი ექსპოზიცია „ჩვენ ვაშენებთ კომუნიზმს“. „სპორტი — მშვიდობის დესპანი“, საკავშირო ახალგაზრდული და სხვა დიდი გამოფენები.

საბჭოთა მხატვრების უდიდესი მოწოდებაა ღრმად ასახონ თავიანთი შემოქმედებაში ჩვენი სოციალისტური წყობილების ისტორიული ოპტიმიზმი, უთხრან პლანეტის ხალხებს სიმართლე რეალურ სოციალიზმზე, შექმნან ჩვენი დიდი ხალხის, ჩვენი გმირული ეპოქის ღირსი ნაწარმოებები.

## დღესასწაული ალიოშა ჯაფარიძის სამშობლოში

სურათზე: მიტინგი ალიოშა ჯაფარიძის მოედანზე ქ. ონში.
ვ. მორგუნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

**რევოლუციის უშიშარ რაინდთა ხსოვნის შთამბეჭდავ დღესასწაულად იქცა პ. ა. (ალიოშა) ჯაფარიძის დაბადების მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმობა, რომელიც მგზნებარე ლენინელი ბოლშევიკის სამშობლოში — ონის რაიონში გაიმართა.**

შარდომეთი სტუმრებს მასპინძლობდა. დიდიც და პატარაც — ზემო რაჭის ამ პატარა სოფლის ყველა მცხოვრები კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწის, ლეგენდარული ბაქოს კომუნის ერთ-ერთი ხელმძღვანელის პროკოფი აფრასიონის ძე (ალიოშა) ჯაფარიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საიუბილეო ზეიმობის მონაწილეთა შესახვედრად გამოსულიყო. აქ, პროფესიონალი რევოლუციონერ-ლენინელის სამშობლოში, სადაც გასულ შაბათს გადაინაცვლა საყოველთაო-სახალხო დღესასწაულის ცენტრმა, თავი მოიყარეს საქართველოს ახლომდებარე რაიონების და დედაქალაქის წარმომადგენლებმა, აზერბაიჯანისა და სომხეთის მოძმე რესპუბლიკების დელეგაციებმა, ოქტომბრის სახელოვანი რაინდის ნათესავებმა და ახლობლებმა.

დღესასწაული დაიწყო ონში, სადაც ყვავილებით შეაკეს დიდი სამამულო ომის ფრონტებზე დაღუპულ გმირთა მემორიალი, რომელიც რაიონული ცენტრის შესასვლელთან არის აღმართული. და უკვე ეს ფაქტი მოწმობდა დროისა და თაობათა ამაღლებულ კავშირს, რომელიც სამუდამოდ შეადუღაბა ბოლშევიკების ლენინურმა პარტიამ. აი იგი წმიდათაწმიდა მემკვიდრეობითობა, ახალი, ბედნიერი ცხოვრებისათვის ბრძოლის იდეებით ფრთაშესხმული მამაც კომუნართა თაობებისა — დიდი სამამულო ომის გმირებისა, რომლებმაც დაიცვეს ჩვენი სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, მათი მადლიერი შთამომავლებისა, რომლებიც სათუთად იცავენ და ავითარებენ პარტიისა და ხალხის შესანიშნავ რევოლუციურ, საბრძოლო და შრომითს ტრადიციებს.

რა კარგად ეხმაურება ყოველივე ამას ალიოშა ჯაფარიძის მიერ ენისეის გადასახლებიდან ცოლისა და ქალიშვილებისათვის დაწერილი ეს სიტყვები: „მაინც ცოცხალი ვარ, ცოცხლობენ ჩემი აზრები, იმედი, რწმენა და ენერგია“. ეს სიტყვები წაწერილია ერთ-ერთ ტარსსპარანტზე, რომელიც გამოკიდებული იყო სოფლის ყველაზე მაღალ შენობაზე. აქ, ლეგენდარული კომისრის სამშობლოში, განახლებულ შრომეთში, საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე აყვავებულ ამ მთის მხარეში, ისინი განსაკუთრებული აზრით, განსაკუთრებული მნიშვნელობით არის აღსავსე.

ახლა ალიოშა ჯაფარიძისა და მისი თანამებრძოლების — ბაქოს კომუნის მოღვაწეების ოცნება. ეს მათ პატივსაცემად გუგეგნებს შარდომეთში 26 ზარი, რომლებიც საიუბილეო ზეიმობის მონაწილეებს იწვევს ამ სოფლის მკვიდრის; რევოლუციით მობილიზებული და ინტერნაციონალიზმით ფრთაშესხმული, ხალხთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის მამაცი მებრძოლის მემორიალის გახსნაზე.

მთელი სოფელი მოვიდა მემორიალის გახსნისადმი მიძღვნილ მიტინგზე.

ეღერს სიმღერები სამშობლოზე, პატრიაზე, აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს ხალხთა, საბჭოეთის ყველა ხალხის მეგობრობასა და ძმობაზე. მიტინგს ხსნის ონის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე დ. პ. მეტრეველი. მიკროფონთან ერთმანეთს ცვლიან ვეტერანები და ახალგაზრდობა. მძლავრ რეპროდუქტორებში გაისმის გულიდან ამომავალი შთამომავალთა უსაზღვრო სიყვარულისა და ჰეშმარიტი მადლიერების სიტყვები თანამემამულისადმი, კომუნის ყველა უკვდავი რაინდისადმი, რევოლუციის რაინდებისადმი.

ზეიმობის მონაწილენი უდიდესი ინტერესით გაეცნენ ალიოშა ჯაფარიძის დაბადების მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილ ექსპოზიციას, რომელიც მემორიალის გვერდით სოფლის კლუბშია მოწყობილი. აქ შეგროვებულ მრავალ დოკუმენტსა და მასალას, რომლებიც მთელი სიდიადით აშუქებენ მგზნებარე პატრიოტისა და ინტერნაციონალისტის, ბოლშევიკთა ლენინური პარტიის სახელოვანი კოჰორტის მებრძოლის ცხოვრებასა და რევოლუციურ მოღვაწეობას, ამ დღეს ახალი ექსპონატები შეემატა. ისინი შარდომეთელებს ძღვნად გადასცეს ალიოშა ჯაფარიძის ქალიშვილებმა, ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების დელეგაციებმა.

აქედან დღესასწაულმა კვლავ ონში გადაინაცვლა. ალისფერი დროშებითა და ტრანსპარანტებით შეხვდა მის მონაწილეებს ალიოშა ჯაფარიძის სახელობის მოედანი — ახალგაზრდობის, რაიონული ცენტრისა და გარშემო მდებარე სოფლების ყველა მშრომელის ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი ადგილი. აქ ვ. ი. ლენინის ერთგული მოწაფისა და თანამებრძოლის ძეგლთან ტრადიციად იქცა პარტიის ვეტერანთა შეხვედრები, საღღესასწაულო მანიფესტაციები, პიონერთა და ოქტომბრელთა რიგებში მიღების, საზეიმო რიტუალები, კომკავშირელთა ფიცი დიდი ოქტომბრის დროშის, სამშობლოს, პარტიის, ხალხის ერთგულებისადმი.

და აი დღესაც, თავისი გამოჩენილი თანამემამულის, ქართველი ხალხის სახელოვანი შვილის, მგზნებარე რევოლუციონერ-ლენინელის ღირსშესანიშნავი იუბილეს დღეს, აქ მიტინგზე შეიკრიბნენ ძველი ბოლშევიკები, ომისა და შრომის ვეტერანები, წარმოების მოწინავეები, რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები, თვალსაჩინო მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები. აქ მოვიდნენ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, გ. ნ. ენუქიძე, ზ. ა. პატარიძე, ზ. ა. ჩხეიძე, ფ. ს. სანაკოევი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

(დასასრული მე-3 გვ.).

### საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

## ახალ საფეხურზე ავიყვანოთ ხარისხისათვის ზრუნვა

### 25 პროცენტი — რეალურია!

**მხოლოდ** ბელორუსიის სს რესპუბლიკას ჩამოუვარდება დღეს ჩვენი რესპუბლიკა სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი პროდუქციის ხვედრითი წილის მიხედვით, ჯერ კიდევ 1978 წელს კი ამ მაჩვენებლის მიხედვით მას მოკავშირე რესპუბლიკებს შორის მეშვიდე ადგილი ეკავა. რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების მუშაობას ახასიათებს გაძლიერებული ყურადღება ეკონომიკის განვითარების თვისებრივი ფაქტორებისადმი. ამის შედეგად ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის ხვედრითი წონა ახლა 23,1 პროცენტს შეადგენს. რამდენიმე ათეული საწარმო საპატიო ხუთკუთხედით აღნიშნავს თავისი პროდუქციის ნახევარზე მეტს.

ხარისხის გაუმჯობესების პრობლემა მრავალწახნაგოვანია. იგი მოიცავს როგორც ტექნიკურ, ისე სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებს, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება თვითმიზანი კი არა, საბჭოთა ადამიანების მზარდ მოთხოვნილებათა რაც შეიძლება სრული დაკმაყოფილების საშუალებაა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულმა რესპუბლიკურმა თათბირსემინარმა განიხილა ხუთწლედის დამამთავრებელ წელს ხარისხისნიშნიანი პროდუქციის ხვედრითი წილის გადიდებისათვის დამატებითი რეზერვების გამოძებნის საკითხები.

თათბირს ესწრებოდნენ ხარისხის კომისიების წარმომადგენლები, სამინისტროების, უწყებების, საწარმოო გაერთიანებების, საწარმოების, ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

აღინიშნა, რომ დღეს რესპუბლიკის 312 საწარმო უშვებს 2.220 დასახელების ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციას, რომელთაგან 1.774, ანუ 87 პროცენტი სახალხო მოხმარების საქონელია. საპატიო ხუთკუთხედიანი პროდუქციის უმეტეს ნაწილს უშვებენ საწარმოები, რომლებიც შედიან მსუბუქი, კვებისა და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროთა სისტემაში. ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ კიდევ მეტი უნდა გაკეთდეს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოსთხოვა პარტიულ ორგანიზაციებს, პროდუქციის ხარისხის კომისიებსა და სექციებს გააქტიურონ საქმიანობა ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის საყოველთაო დანერგვისათვის ბრძოლაში, გამოძებნონ და აამოქმედონ დამატებითი რეზერვები და მიაღწიონ იმას, რომ წლის დამლევამდე ხარისხისნიშნიანი პროდუქციის გამოშვების ხვედრითი წონა 25 პროცენტამდე გაიზარდოს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოითხოვა აგრეთვე, რომ კვლავაც მეტად სერიოზული ყურადღება დაუთმონ წარმოების კულტურის ამაღლებას, მაღალხარისხოვანი პროდუქციის დამზადებისათვის მუშების მატერიალური სტიმულირების სრულყოფას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა ხარისხისათვის ბრძოლაში მიღწეული წარმატებანი და ამავე დროს მოითხოვა: საამედოდ გადაუღობონ გზა წუნს, მოაგვარონ თითოეული წარმოების ტექნოლოგიური დისციპლინა, გადასინჯონ ნორმატიულ-ტექნიკური და სხვა დოკუმენტაციის დონე ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის გამოშვების უზრუნველსაყოფად.

თუმცა რესპუბლიკაში საკმაოდ ბევრ ფართო მოხმარების საქონელს უშვებენ, მაგრამ გასაყიდად ისინი არასაკმარისი რაოდენობით გამოაქვთ. ეს ცხადყო რესპუბლიკის დედაქალაქის ცენტრალურ უნივერმაღსა და უნივერმაღ „თბილისში“ მოწყობილმა შემოწმებამ. ამ მაღაზიებს შეუძლიათ შესთავაზონ მყიდველს 27 დასახელების ხარისხისნიშნიანი საქონელი, რომელსაც საქართველოს 15 საწარმო უშვებს. მაგრამ ამ ნაწარმის ნახევარზე მეტი გამოშვებულია სტანდარტების მოთხოვნათა უხეში დარღვევით. ლაპარაკია თბილისის ტრიკოტაჟის საცვლების საწარმოო გაერთიანების, ქუთაისის კიროვის სახელობის საწარმოო სამკერვალო გაერთიანების, თელავის სამკერვალო ფაბრიკის, ბაშურის რაბრიწვკომბინატის, თბილისის საშენ მასალათა კომბინატის და სხვათა პროდუქციაზე.

### ზნეობა ეკონომიკის სასწორზე

**საყოველთაოდ** ცნობილია, რომ მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოსაშვებად საჭიროა ხარისხიანი ნედლეული, თანამედროვე მოწყობილობა და მარჯვე ხელი. მაგრამ არის კიდევ ერთი პირობა, ურომლისოდაც მაღალი ხარისხი მიუღწეველია. ეს არის მუშაკაცის, წარმოების მუშაკის სურვილი და სწრაფვა, კარგად აკეთოს თავისი საქმე, გამოუშვას სრულყოფილი, ხარისხიანი, ლამაზი ნაწარმი. ოსტატობა განუყოფელია ოსტატის პროფესიული ღირსებისა და სიამაყისაგან; თავისთავად სრულყოფილებისადმი მისი ეს სწრაფვა, „ონკრეტული ნაკეთობით განსახიერებული, ოსტატობის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი საზომია. ეს ნიშანი თითოეული მუშის ხასიათის განუყოფელი თვისება უნდა გახდეს. იგი უნდა ჩამოვაყალიბოთ, სრულყოთ ყველა ადამიანში — რიგითი მუშა იქნება ეს თუ წარმოების ხელმძღვანელი. ხასიათის ეს თვისება ასახავს ადამიანის სულიერ სამყაროს, მის ზნეობრივ თვისებებს და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის საზომი ხდება. ამ თვალსაზრისით პროდუქციის ხარისხისათვის ბრძოლის შედეგები ბევრად არის დამოკიდებული აღმზრდელობითს მუშაობაზე კოლექტივში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დასახა ამოცანა, უფრო გაბედულად დანერგონ ტექნიკური, ტექნოლოგიური, საორგანიზაციო და სოციალური ღონისძიებების კომპლექსი, რომლებიც სტიმულს აძლევენ მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებას, რეგულარულად მოისმინონ პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების ბიუროების სხდომებზე ხარისხის კომისიების ანგარიშები, იდეოლოგიური მუშაობის ყველა საშუალება გამოიყენონ იმისათვის, რომ ამაღლდეს შემსრულებელთა და საწარმოთა ყველა სამსახურის შეგნება და პასუხისმგებლობა პროდუქციის ხარისხისათვის.

თათბირ-სემინარზე აღინიშნა, რომ საჭიროა უახლოეს ხანში გაუმჯობესდეს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხარისხი. ზოგიერთ მშენებლობაზე, სამშენებლო ინდუსტრიისა და საშენ მასალათა მრეწველობის ზოგიერთ საწარმოში არღვევენ სახელმწიფო სტანდარტების, პროექტებისა და ტექნოლოგიური პირობების მოთხოვნებს, სათანადო ზრუნვას არ იჩენენ მშენებელთა კადრების კვალიფიკაციისა და ოსტატობის ამაღლებისათვის. განსაკუთრებით დამაფიქრებელია მასობრივი საბინაო მშენებლობა, სადაც ხარისხი ბევრად არის განპირობებული უხარისხო საშენი მასალებით.

(დასასრული მე-3 გვ.).

### საკავშირო ცნობა

## მიფრინავს „ჰორიზონტი“

**დედამიწის** ხელოვნური თანამგზავრების გამოყენებით კავშირისა და ტელემაუწყებლობის სისტემების შემდგომი განვითარების პროგრამის შესაბამისად 1980 წლის 14 ივნისს საბჭოთა კავშირში გაუშვეს მორიგი კავშირის თანამგზავრი „ჰორიზონტი“.

თანამგზავრი გაყვანილია სტაციონარულთან მიახლოებულ წრიულ ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია:

— მანძილი დედამიწის ზედაპირიდან — 36 ათას 515 კილომეტრი;

— დედამიწის გარშემოვლის პერიოდი — 24 საათი და 33 წუთი;

— ორბიტის დახრილობა — 0,8 გრადუსი.

თანამგზავრ „ჰორიზონტზე“ დადგმულია გაუმჯობესებული ბრავალლერეროიანი საბორტო სატელევიზიო-ტელეფონო-სატელეგრაფო რადიოკავშირსა და სატელევიზიო პროგრამების გადაცემას.

„ჰორიზონტის“ სისტემის კავშირის თანამგზავრების მეშვეობით დაგეგმილია 1980 წელს უზრუნველყოფილ იქნეს სატელევიზიო გადაცემის ტრანსლაცია საბჭოთა კავშირიდან XXII ოლიმპიური ასპარეზობის სპორტული შეჯიბრების მოწყობის ადგილებიდან.

თანამგზავრ „ჰორიზონტზე“ დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკომანდო-საზომი კომპლექსი ახორციელებს თანამგზავრის მართვას. თანამგზავრის კავშირისა და სატელევიზიო აპარატურას გათვალისწინებული პროგრამის შესაბამისად გამოცდიან.

თანამგზავრ „ჰორიზონტის“ საერთაშორისო სარეგისტრაციო ინდექსი „სტაციონარ-4“.

## ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოთა პარლამენტარების შეხვედრის მონაწილეებს

**მხურვალედ** მივესალმები ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოთა შეხვედრის მონაწილეებსა და ყველა პარლამენტარს.

თქვენი შეხვედრა ერთხელ კიდევ მოწმობს სოციალისტური ქვეყნების ხალხის რჩეულთა დიდ პასუხისმგებლობას ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის ბედისათვის.

ვარშავის ხელშეკრულება უკვე 25 წელია საიმედოდ იცავს მოძმე ხალხთა რევოლუციურ მონაპოვრებს, სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნებთან, პროგრესულ საერთაშორისო საზოგადოებრიობასთან ურთიერთმოქმედებით მისმა მონაწილეებმა უდიდესი მუშაობა გასწიეს, რათა გაეკაფათ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გზა, რომელიც ყველა ხალხის ინტერესებს შეესაბამება.

ახლა ჩვენ ვაწყდებით იმპერიალიზმისა და რეაქციის ახალ ცდებს — ძირი გამოუთხარონ დაძაბულობის შენელებას, გააძლიერონ გამალებული შეიარაღება, ააღორძინონ „ცივი ომის“ ხანის ავისმომასწავებელი ატმოსფერო. მაგრამ სოციალისტურ ქვეყნებს, მსოფლიოს ხალხებს საკმაო სიმტკიცე და ნებისყოფა აქვთ, რათა საკადრისი პასუხი გასცენ ამ საშიშ კურსს.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის ამასწინანდელმა თათბირმა წამოაყენა მოქმედების პროგრამა, რომლის მიზანია მშვიდ, ჯანსაღ კალაპოტში მოაქციოს მოვლენათა განვითარება.

ჩვენი ქვეყნების ხალხებმა კარგად იციან, რას ნიშნავს ომი. ეს ახსოვს ბელორუსიასაც, სადაც თქვენი შეხვედრა მიმდინარეობს. ასეთი რამ აღარ უნდა განმეორდეს. კოლოსალური მატერიალური და ინტელექტუალური რესურსები, რომლებსაც დღეს კაცობრობა გამალებული შეიარაღებისათვის ხარჯავს, შეიძლება და კიდეც უნდა მოხმარდეს მშვიდობიან საჭიროებებს. დაე, თქვენმა შეხვედრამ ხელი შეუწყოს სოციალისტური სახელმწიფოების ძმური თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებას ამ კეთილშობილური მიზნის მიღწევისათვის ბრძოლაში.

გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, ერთსულოვან და ნაყოფიერ მუშაობას.

ლ. ბრეჟნევი.

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### საბჭოთა კავშირის გმირის სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის ამხ. ვ. ვ. აქსიონოვის ლენინის ორდენითა და „ოქროს ვარსკვლავის“ მეორე medლით დაჯილდოების შესახებ

**კოსმოსში** „სოიუზ ტ-2“ სრულყოფილი სატრანსპორტო ხომალდის გამოცდის წარმატებით მოწყობისა და ამ დროს გამოჩენილი ვაჟკაცობისა და გმირობისათვის მიენიჭოს **საბჭოთა კავშირის გმირის სსრ კავშირის** კოსმონავტი მფრინავი ამხ. ვლადიმერ ვიტორის ძე **აქსიონოვი ლენინის** ორდენითა და „ოქროს ვარსკვლავის“ მეორე medლით.

საბჭოთა კავშირის გმირის ამხ. ვ. ვ. აქსიონოვის გმირობის აღსანიშნავად დაიდგას ბრინჯაოს ბიუსტი გმირის სამშობლოში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1980 წლის 16 ივნისი.

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### კოსმონავტი მფრინავის ამხ. ი. ვ. მალიშევისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

**კოსმოსში** „სოიუზ ტ-2“ სრულყოფილი სატრანსპორტო ხომალდის გამოცდის წარმატებით მოწყობისა და ამ დროს გამოჩენილი ვაჟკაცობისა და გმირობისათვის მიენიჭოს **საბჭოთა კავშირის გმირის წოდება** და გადაეცეს **ლენინის** ორდენი და „ოქროს ვარსკვლავის“ medალი კოსმონავტ მფრინავს ამხ. იური ვასილის ძე მალიშევს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1980 წლის 16 ივნისი.

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### ამხ. ი. ვ. მალიშევისათვის „სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის“ წოდების მინიჭების შესახებ

**„სოიუზ ტ-2“** სრულყოფილ სატრანსპორტო ხომალდით კოსმოსური ფრენის განხორციელებისათვის მიენიჭოს **„სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის“** წოდება ამხ. იური ვასილის ძე მალიშევს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1980 წლის 16 ივნისი.

## დელეგაცია პრაღას გაემგზავრა

**16 ივნისს** მოსკოვიდან პრაღას გაემგზავრა საბჭოთა კავშირის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის თავმჯდომარეობით. დელეგაცია მონაწილეობას მიიღებს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიის 34-ე სხდომაში.

აეროდრომზე დელეგაცია გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ნ. ა. ტიხონოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. ი. დოლგიხმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

* * *

პრაღის აეროდრომზე დელეგაციას ა. ნ. კოსიგინის მეთაურობით დახვდნენ ჩეხოსლოვაკიის სსრ მთავრობის თავმჯდომარე ლ. შტროუგალი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. კემპნი, სხვა ოფიციალური პირები. (საკდესი).

# მთელი ძალ-ღონე მოვახმაროთ ხეთნოდის დავალებათა წარმატებით შესრულებას!

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გაერთიანებული სხდომა

**საქართველოს** კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის მუშაობაში დამკვიდრდა პრაქტიკა — სისტემატურად შეჯამონ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების შედეგები. დარგების მიხედვით ამ შედეგებს აჯამებენ ყოველთვიურად, ხოლო კვარტალის შედეგებს — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე. ამჯერად, 13 ივნისს გამართულმა გაერთიანებულმა სხდომამ შეაჯამა ხუთი თვის მუშაობის შედეგები. ეს მოხდა იმ მეტად რთულ და დაძაბულ ვითარებასთან დაკავშირებით, რომელიც საქართველოს სახალხო მეურნეობაში იქმნება, და იმის გამო, რომ საჭიროა ყველაზე გადამწყვეტი, გადაუდებელი ღონისძიებანი განხორციელდეს მეათე ხუთწლედის დავალებათა უთუო შესრულებისათვის.

მაგრამ მთავარი მიზეზი მარტო ეს არ ყოფილა. როგორც სხდომაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ აღნიშნა, მთავარი ის არის, რომ რამდენიმე ხნის წინათ მას ესაუბრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავჯდომარე ამხანაგი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი, რომელმაც გამოიკითხა, თუ როგორ არის საქმე კაპიტალურ მშენებლობაში, სოფლის მეურნეობაში, როგორია საქმის ვითარება მთლიანად სახალხო მეურნეობაში. ამ მეტად ვრცელი, საფუძვლიანი საუბრის დროს ჩვენ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა ამ საკითხზე, ყველა აქტუალურ სამეურნეო-პოლიტიკურ პრობლემაზე.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა, თქვა შემდეგ ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ, კმაყოფილებით აღინიშნა, რომ ხუთწლედის განვლილი ოთხი წლის მანძილზე საქართველოს სოციალისტურ რესპუბლიკაში გაწეულია გარკვეული მუშაობა ენერგეტიკის, შავი და ფერადი მეტალურგიის, მანქანათმშენებლობის, ნავთობის, ქიმიური, კვების მრეწველობის საწარმოთა მშენებლობისათვის. 1979 წელს შესრულდა ენერგეტიკის ძირითადი ფონდების: ენგურის ჰიდროელექტროსადგურის, სხვა ობიექტების ამოქმედების, მსუბუქი და კვების მრეწველობაში კაპიტალური დაბანდებების გეგმა.

ამასთან ერთად ლეონიდ ილიას ძემ აღნიშნა, რომ რესპუბლიკაში ჩამორჩება ქიმიური მრეწველობის საწარმოთა მშენებლობა, სადაც კაპიტალური დაბანდებანი 1979 წელს ათვისებულია 69 პროცენტით. არ შესრულებულა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გასული წლის გეგმა შავი და ფერადი მეტალურგიის, ქვანახშირისა და გაზის მრეწველობის ობიექტებზე.

მიმდინარე წელს ნელი ტემპით წარმოებს სამუშაოები უმნიშვნელოვანეს ასამოქმედებელ ობიექტებზე, სადაც კაპიტალურ დაბანდებათა ოთხი თვის გეგმა შესრულდა 85 პროცენტით, რაც ნაკლებია, ვიდრე მთლიანად რესპუბლიკაში (93 პროცენტი). მადნეულის სამთომამდიდრებელ კომბინატში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა იანვარ-აპრილის გეგმა მხოლოდ 50 პროცენტით შესრულდა, ტ.ბილისის ელექტროლამპენებელ ქარხანასა და ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში — 70 პროცენტით. სამშენებლო ორგანიზაციათა ვერ ასრულებენ შავი მეტალურგიის ობიექტების მშენებლობის გეგმას. ლეონიდ ილიას ძემ აღნიშნა, რომ რესპუბლიკას აქვს შესაძლებლობა მნიშვნელოვნად გააუჯობესოს საქმის ვითარება კაპიტალურ მშენებლობაში. მიმდინარე წელს საქართველოში გათვალისწინებულია განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი 10 საწარმოო ობიექტის ამოქმედება. მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს მშენებლობის საკითხებს, 1980 წელს ყველა უმნიშვნელოვანესი სიმძლავრის, მათ შორის ენგურის ჰიდროელექტროსადგურის 260 ათასი კილოვატი სიმძლავრის № 5 ტურბინის ამუშაების უზრუნველყოფას. ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა დაასახელა აგრეთვე ისეთი ობიექტები, როგორიც არის რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, სადაც მიმდინარეობს № 2 ბრძმედის რეკონსტრუქცია, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, გარდაბნის, აგარის საკონსერვო და სხვა ქარხნები.

ჩვენი მხრივ ლეონიდ ილიას ძეს მოვახსენეთ, რომ ამ ბოლო პერიოდში რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია უფრო საგნობრივად და საფუძვლიანად ეკიდება კაპიტალური მშენებლობის პრობლემებს, უფრო აქტიურად ახდენს გავლენას მასში მიმდინარე პროცესებზე, უფრო ოპერატიულად იცილებს თავიდან შემაფერხებელი ფაქტორების წარმოშობას. და მართლაც, არ შეიძლება არ გვახარებდეს ის ფაქტი, რომ მეათე ხუთწლედში რესპუბლიკა ძირითადი ფონდების ამოქმედების ზრდის ტემპით, კაპიტალურ დაბანდებათა ათვისებითა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შესრულებით წლითიწლობით პირველ ადგილზეა ჩვენს ქვეყანაში.

სხდომაზე აღინიშნა, რომ მეათე ხუთწლედის ოთხ წელიწადში ამოქმედდა 5 მილიარდ 592 მილიონი მანეთის ძირითადი ფონდები, ესე იგი 573 მილიონი მანეთით მეტი, ვიდრე გათვალისწინებული იყო ხუთწლიანი გეგმის დავალებით, და 43 პროცენტით მეტი, ვიდრე მეცხრე ხუთწლედის შესაბამის პერიოდში.

ათვისებულია 5 მილიარდ 680 მილიონი მანეთი კაპიტალური დაბანდება, რომელიც შესაბამისად გაიზარდა 742 მილიონი მანეთით, ანუ 37 პროცენტით. წინა ხუთწლედის შესაბამის პერიოდთან შედარებით შესრულებულ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა 247 მილიონი მანეთით გაიზარდა.

ასამუშავებელ მშენებლობებზე თავმოყრილია ადამიანთა და მატერიალური რესურსები, შემცირებულია ერთდროულად მშენებარე ობიექტების რიცხვი. და ეს მუშაობა ჩვენში ყოველწლიურად წარმოებს, რამაც შესაძლებლობა მოგვცა მნიშვნელოვნად შეგვემცირებინა დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობა, რომლის დონე 1976 წლის 119 პროცენტდან 1979 წელს 92 პროცენტამდე შემცირდა. მაგრამ ეს პროცენტიც ჯერ კიდევ ძალზე დიდია, შეფარდება კი არანორმალური.

რესპუბლიკის მშენებლებმა საკმაოდ კარგი შედეგებით დაამთავრეს ხუთი თვის დავალებანი. შესრულდა საიჯარო სამუშაოთა საერთო მოცულობის გეგმა. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით კაპიტალურ დაბანდებათა ათვისება 19 მილიონი მანეთით გაიზარდა, შესრულებულ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობანი 105 პროცენტით გადიდდა.

შესრულდა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა სახალხო მეურნეობის ისეთ ძირითად დარგებში, როგორიც არის მეტალურგია, ქიმია, მსუბუქი და კვების მრეწველობა. ბევრი რამ კეთდება საბინაო მშენებლობის პროგრამის შესასრულებლად.

ეს საშუალებას გვაძლევს გამოვთქვათ დასკვნა, რომ რესპუბლიკაში სულ უფრო სრულყოფილი ხდება პარტიული ხელმძღვანელობა კაპიტალური მშენებლობისადმი — ეკონომიკის ამ უმნიშვნელოვანესი სფეროსადმი.

მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მომთხოვნელობა პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტებისადმი, რომლებიც უფრო საგნობრივად სწავლობენ კაპიტალური მშენებლობის პრობლემებს, ებრძვიან კაპიტალურ დაბანდებათა უფრო ეფექტიანი გამოყენებისათვის, მეი სამშენებლო წარმოების უკეთესი ორგანიზაციისათვის.

ამოცანა ის გახლავთ, რომ, როგორც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა გვიჩვენა, მთავარი ყურადღება დავუთმოთ გადაუჭრელ საკითხებს, არსებულ ნაკლოვანებათა უთუო აღმოფხვრას, რათა უფრო სრულად გამოვიყენოთ ყველა შესაძლებლობა და წარმატებით შევასრულოთ კაპიტალური მშენებლობის ყველა ძირითადი ამოცანა. ვერ შევურიგდებით იმას, რომ რესპუბლიკაში სისტემატურად არ სრულდება ძირითადი ფონდების ამოქმედების გეგმა. მთლიანად მეათე ხუთწლედის წლებში ეს მაჩვენებელი 80-90 პროცენტს აღწევს, ხოლო ოთხ წელიწადში შეუსრულებლობის საერთო მოცულობამ 740 მილიონი მანეთი შეადგინა. ძირითადი ფონდების ამოქმედების საქმე მიმდინარე წელსაც არ გაუმჯობესებულა. ხუთ თვეში ამოქმედდა მხოლოდ 149 მილიონი მანეთის ძირითადი ფონდები, რაც წლიური გეგმის 10 პროცენტს შეადგენს.

წლითიწლობით ვერ ვითვისებთ რესპუბლიკისათვის გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებებს. ხუთი თვის შედეგების მიხედვით ხუთწლედის დამდეგიდან აუთვისებელი დარჩა 200 მილიონი მანეთი კაპიტალური დაბანდებანი. კაპიტალურ დაბანდებათა ათვისების ხუთი თვის გეგმა სოფლის მეურნეობაში შესრულდა 89 პროცენტით, ხორცისა და რძის მრეწველობაში — 87 პროცენტით, მსუბუქ მრეწველობაში — 86 პროცენტით, მეტალურგიაში — 84 პროცენტით, დამზადების სამინისტროს ხაზით — 81 პროცენტით, ქიმიის ხაზით — 77 პროცენტით, მეცნიერების სფეროში — 59 პროცენტით.

ეს იმიტომ ხდება, რომ საიჯარო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა და შემკვეთებმა ჯერ კიდევ ვერ მიაღწიეს შრომითი რესურსების, ძალისა და სახსრების მაქსიმალურ კონცენტრაციას ასამუშავებელ ობიექტებზე. გასული წლის შედეგები ცხადყოფს, რომ მშენებლობის სამინისტრომ ჩაშალა გეგმით გათვალისწინებული 103 ობიექტის, სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ — 200-ზე მეტი ობიექტის ამოქმედება. მიმდინარე წლის ხუთ თვეში მშენებლობის სამინისტრომ ამ ობიექტებიდან საექსპლოატაციოდ გადასცა მხოლოდ 2, სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ კი 4 ობიექტი. მთლიანად კი ამ სამინისტროებში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შესრულება გარდამავალ ობიექტებზე ხუთ თვეში შესაბამისად 87 და 78 პროცენტს შეადგენს.

სხდომაზე განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სიმძლავრეთა ამოქმედების პრობლემას.

ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მითითებები, რჩევები, რეკომენდაციები, ამოცანები, რომლებიც ამასთან დაკავშირებით ისახება რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების წინაშე, ზრუნვა მათი წარმატებით განხორციელებისათვის გახდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე წარმოთქმული ყველა სიტყვის მთავარი შინაარსი, ლაიტმოტივი.

სხდომის მონაწილეებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს იმას, რომ საჭირო ძალების მაქსიმალური დაძაბვა, ნაკლოვანებათა დაძლევა და აღმოფხვრა, ახალი რეზერვების გამონახვა და მობილიზაცია იმისათვის, რომ წლის დამლევამდე დარჩენილ პერიოდში ისინი გამოვიყენოთ დამამთავრებელი წლის და მთლიანად ხუთწლედის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების უთუო შესრულებისათვის:

სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ 1976 წლიდან მოყოლებული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო ყოველწლიურად განსაზღვრავს იმ უმნიშვნელოვანეს მშენებლობათა ნუსხას, სადაც თავმოყრილი უნდა იყოს მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანთა რესურსები. ამან გარკვეული დადებითი შედეგები მოგვცა. ამ პერიოდში 224 უმნიშვნელოვანესი ასამუშავებელი ობიექტიდან საექსპლოატაციოდ გადაეცა ორასზე მეტი.

მაგრამ წელს უმნიშვნელოვანეს დასამთავრებელ მშენებლობებზე საქმე აშკარად ცუდად არის. ბევრმა ორატორმა აღნიშნა მშენებლობისა და სასოფლო მშენებლობის სამინისტროთა ცუდი მუშაობა. დღეს უკვე სერიოზულად ვერ აღვიქვამთ ზოგიერთი ხელმძღვანელის თავის მართლებას, სიძნელეებს ვაწყდებით ძირითადი საშენი მასალების მიწოდების მხრივო. მიზეზი უპირველეს ყოვლისა ის არის, რომ ტრესტების მმართველები ცუდად გეგმავენ და სათანადო კონტროლს არ უწევენ მუშაობას, ჯეროვნად ვერ წარმართავენ მშენებლობას, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგ ბ ა ს პროცესებს.

განსაკუთრებით ჩამორჩება სამუშაოები გაჩიან-ბათუმის ნავთობსადენის, წნორის წყლისა და წითელწყაროს ღვინის ქარხნების, კორბოლის სარძევე მეცხოველეობის კომპლექსის, ვაჩიანისა და სუჯუნის მეცხოველეობის კომპლექსების მშენებლობებზე.

მთლიანად სასოფლო მშენებლობის სამინისტროს 23 უმნიშვნელოვანესი ობიექტიდან, რომელთა ამოქმედება მიმდინარე წელს არის გათვალისწინებული, გეგმა სრულდება მხოლოდ 8 ობიექტზე, ხოლო წლის პირველ ნახევარში ასამოქმედებელი 10 ობიექტიდან გეგმა შესრულდა მხოლოდ 5 ობიექტზე. თუ მთლიანად სასოფლო მშენებლობის სამინისტროს საიჯარო სამუშაოთა გეგმა შეასრულა 99 პროცენტით, უმნიშვნელოვანეს მშენებლობებზე ეს მაჩვენებელი 87 პროცენტს არ აღემატება.

გაერთიანებულ სხდომაზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკაში დაგროვდა დიდი საწარმოო კომპლექსების მშენებლობისადმი პარტიული და ტექნიკური ხელმძღვანელობის მდიდარი გამოცდილება. სპეციალური შტაბები, რომლებიც შეიქმნა, მაგალითად, ენგურჰესის, რუსთავის ქიმიური ქარხნის, სხვა ობიექტების მშენებლობებზე, ათანხმებდნენ რესპუბლიკისა და ქვეყნის ბევრი რეგიონის მეტ წილ ორგანიზაციათა მუშაობას. ყველაფერი კეთდებოდა იმისათვის, რომ გაეერთიანებინათ შემკვეთის, მოიჯარე და სუბმოიჯარე ორგანიზაციათა ღონისძიებანი გეგმისათვის ბრძოლაში, გაეუმჯობესებინათ მუშების შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები. ყოველივე ამან კარგი ნაყოფი გამოიღო. ახლა ამ გამოცდილებას იყენებენ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში, სადაც მკვეთრად და რიტმულად მუშაობს 28 მომიჯნავე ორგანიზაცია, და შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, რომ ვადაზე გადასცემენ საექსპლოატაციოდ 200 ათასი ტონა ფეროშენადნობთა საწარმოო სიმძლავრეებს.

ამასთან ერთად აღინიშნა, რომ, თუმცა მთლიანად საიჯარო სამუშაოთა გეგმა სრულდება, მაგრამ რესპუბლიკის ცალკეული დარგები მნიშვნელოვნად ვერ ასრულებენ გეგმებს ამ მაჩვენებლის მიხედვით. მაგალითად, საანგარიშო პერიოდში პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მშენებლობის გეგმა მხოლოდ 64 პროცენტით შესრულდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ 1976 წლის შემდეგ ამ დარგში საიჯარო სამუშაოთა გეგმა არც ერთხელ არ შესრულებულა. არადა, ამ სისტემაზე ხომ დიდ იმედებს ვამყარებთ.

ნელია სკოლების, ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების მშენებლობის ტემპი.

კვლავაც დაძაბული მდგომარეობაა საბინაო მშენებლობის პროგრამის შესრულების მხრივ. 1980 წლის ხუთ თვეში საექსპლოატაციოდ გადაეცა მხოლოდ 160 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, ანუ წლიური მოცულობის 15 პროცენტი. ნახევარი წლის დავალების შესასრულებლად ამ შენებლებმა მარტო ივნისში საექსპლოატაციოდ უნდა გადასცენ 184 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. გაერთიანებულმა სხდომამ გადაჭრით მოსთხოვა მშენებლებს, რომ გარდაქმნან თავიანთი მუშაობა, აღნიშნა, რომ შეუწყნარებელია ისეთი მდგომარეობა, როცა ხუთ თვეში საექსპლოატაციოდ გადასცემენ 160 ათას კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართობს, ხოლო ერთ თვეში — 184 ათას კვადრატულ მეტრს.

თუმცა მეცხრე ხუთწლედთან შედარებით საბინაო მშენებლობისათვის გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა თითქმის 200 მილიონი მანეთით, ანუ 30 პროცენტით გაიზარდა, განვლილ ოთხ წელიწადში აუთვისებელი დარჩა 40 მილიონი მანეთი, არადა, ამოცანა ხომ ის არის, რომ აუცილებლად ავითვისოთ ბინების მშენებლობისათვის გამოყოფილი კაპიტალური დაბანდებები.

კვლავაც დიდი დარღვევებია საბინაო მშენებლობის გეგმების შედგენისას, რასაც საბოლოო აგარაშით საგეგმო დისციპლინის ჩაშლა მოსდევს. საკმარისია ითქვას, რომ საექსპლოატაციოდ დაცემის მაჩვენებლებში დღეს სხვაობა შემკვეთთან და მოიჯარე ორგანიზაციათა შორის 27 ხთას კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართობს შეადგენს. ასევე არეულ-დარეულია სხვა მთავარი მაჩვენებლები, კერძოდ, კაპიტალურ დაბანდებათა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობების მაჩვენებლები. ამავე დროს ეს სულაც არ აწუხებს არც მაკონტროლებელ ორგანოებს, არც შემკვეთების სამსახურებს და არც სტატისტიკურ ორგანოებს.

რესპუბლიკის სახმომარაგებამ დიდი მუშაობა გასწია მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გაუმჯობესებისათვის. ეს მუშაობა მეტად რთული, ძნელ პირობებში მიმდინარეობს. ხშირად ისეც ხდება, რომ საშენი მასალებისა და ნაკეთობების შეუფერხებელ და რიტმულ მიწოდებაში დამტებითს სიძნელეებს ქმნიან თვით მშენებლები, რომლებსაც უნარი არ შესწევთ სათანადოდ დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნილება საშენ მასალებზე, და ეს უწინარეს ყოვლისა, ხდება არაორგანიზებულობისა თუ საპროექტო დოკუმენტაციის უქონლობის გამო.

ჯერ კიდევ ხშირია შეფერხებები ადგილობრივი საშენი მასალებით მშენებლობათა უზრუნველყოფაში. მაგალითად, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა ხუთი თვის მანძილზე რესპუბლიკის მშენებლობებს დააკლეს 13 მილიონი პირობითი ცალი აგური, დაანლოებით 11 ათასი კვადრატული მეტრი რბილი სახურავი მასალები, 9 ათასი ტონა ცემენტი.

გაერთიანებულ სხდომაზე აღინიშნა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სერიოზულად აღელვებთ დაუმთავრებელი მშენებლობის საკითხები. იმის გამო, რომ მნიშვნელოვნად ვერ შესრულდა ძირითადი ფონდების ამოქმედების გეგმა, მთლიანად რესპუბლიკაში დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობა 303 მილიონი მანეთით გაიზარდა. ამის მიზეზი მარტო ის კი არ არის, რომ არადამაკმაყოფილებელია საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედება, არამედ ისიც, რომ ბევრი ობიექტი უკვე გადაცემულია საექსპლოატაციოდ, მაგრამ გაფორმებული არ არის როგორც ამოქმედებული ობიექტები.

მაგალითად, წლის დამდეგისთვის იყო ფაქტობრივად საექსპლოატაციოდ გადაცემული, მაგრამ ამოქმედებულ ობიექტად გაუფორმებელი 30-მდე ობიექტი, რომელთა ძირითადი ფონდების ღირებულება 7,5 მილიონ მანეთს შეადგენს.

მიუხედავად მრავალგზის მიღებული გაფრთხილებისა, რომ მშენებლობაში გადაჭრით უნდა აღმოფხვრან წამატებათა და სახელმწიფო ანგარიშგების სხვა დამახინჯებათა ფაქტები, მშენებლობის, სასოფლო მშენებლობის სამინისტროები და მთელი რიგი სხვა ორგანიზაციები სათანადოდ არ ებრძვიან ასეთ დარღვევებსა და ბოროტმქმედებას, ვერ დაამკვიდრეს წამატების, თვალის ახვევის, არაორგანიზებულობის წინააღმდეგ ბრძოლის ქმედითი სისტემა. მაგალითად, 1979 წელს მშენებლობის სამინისტროს კოლეგიას არც ერთხელ არ განუხილავს წამატებათა საკითხი. ხშირად არღვევენ საგეგმო-საფინანსო დისციპლინას მოიჯარე ორგანიზაციები. საქმე იქამდე მივიდა, რომ მიმდინარე წლის გეგმაში შეტანილია ობიექტები, რომლებიც ივნისში ჯერაც არ იყო უზრუნველყოფილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით. ასეთი კი დაახლოებით 30 ობიექტია.

სხდომის მონაწილეებმა ვრცლად ილაპარაკეს ენერგეტიკული მშენებლობის ფართო პროგრამის შესრულებაზე, რასაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, აღნიშნეს, რომ უნდა დაჩქარდეს ვარციხის და ენინგალის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული თბოელექტროსადგურის რეკონსტრუცია და ხუდონჰესის მშენებლობა, მეთერთმეტე ხუთწლედში უნდა შევუდგეთ მტკვრის ზემოწელის კომპლექსისა და მდინარე რიონზე ნამახვანჰესის მშენებლობას.

სხდომაზე დიდი ყურადღება დაეთმო შემკვეთის როლსა და პასუხისმგებლობას დასახულ ვადებში ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემისა და საპროექტო სიმძლავრით მათი ამუშავებისათვის. დიდი მუშაობა გასწიეს მშენებლებმა, მემონტაჟეებმა და შემკვეთებმა 1979 წელს რუსთავის ქიმიური ქარხნის სიმძლავრეთა ამოქმედებისათვის. სამი კომპლექსიდან მწყობრში ჩადგა ორი — სუსტი აზოტმჟავისა და ამონიუმის გვარჯილის მწარმოებელი კომპლექსები, მაგრამ გაუთავებელ ტექნოლოგიურ გადაკეთებათა გამო პროდუქციის წარმოება ჯერაც არ აუთვისებიათ.

ნელი ტემპით შენდება ამონიუმის საწარმოო კომპლექსი, რომლის ამოქმედება გათვალისწინებულია მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში. ეს ხდება შემკვეთის — რუსთავის ქიმიური ქარხნის დირექციის მიზეზით, რომელიც ნელა წყვეტს კომპლექტაციის საკითხებს. არადა ამ კომპლექსის ამოქმედებასთან არის დაკავშირებული ქიმიური წარმოების მომდევნო ობიექტის — ელექტროლიზული მანგანუმის ორანგის წარმოების ამოქმედება, რაც გათვალისწინებულია მესამე კვარტალში.

როგორც სხდომაზე აღინიშნა, მეათე ხუთწლედის განვლილ პერიოდში რესპუბლიკაში მოღწეულია საკმაოდ დიდი წარმატებანი და შეიქმნა გარანტირებული მარაგებიები მთლიანად ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის. ეს არის რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი განმაზოგადებელი მაჩვენებელთა მიხედვით.

მიმდინარე წელი მხოლოდ მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წელი კი არა, მთლიანად ხუთწლიანი გეგმის დავალებათა რეალიზაციის უმნიშვნელოვანესი ეტაპიც არის.

ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ წლის დამლევამდე დარჩენილ პერიოდში უნდა დავძლიოთ ყველაზე ძნელი, ყველაზე სერიოზული და ყველაზე პასუხსაგები ამოცანები.

განსაკუთრებით სერიოზული მდგომარეობაა მრეწველობაში, სადაც ჯერ კიდევ ვერ დაძლიეს მიმდინარე წლის ზამთრის პერიოდში შექმნილი მნიშვნელოვანი ჩამორჩენა. მეტიც, ბევრ დარგში და მთლიანად სამრეწველო წარმოებაში ძირითადი მაჩვენებლები კიდევ უფრო გაუარესდა პირველ თვეებთან შედარებით. წარმოების ზრდის ტემპის ხუთწლიანი გეგმის შესასრულებლად მიმდინარე წლის დამლევისათვის სამრეწველო პროდუქციის ზრდის ტემპი სულ ცოტა 8,4-8,5 პროცენტი უნდა იყოს. სხდომაზე აღინიშნა, რომ ამ მაჩვენებლის მიღწევა ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელის პრესტიჟის საქმე უნდა გახდეს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოსთხოვა ყველა კომუნისტს, ყველა მშრომელს, რომ უდიდესი პასუხისმგებლობით მოეკიდონ ამ ამოცანას.

სხდომაზე აღინიშნა ცალკეული ობიექტური მიზეზები, რომლებმაც გავლენა მოახდინა იმაზე, რომ ჩამოვრჩებით ზრდის დასახულ მოჯნებს. უწინარეს ყოვლისა, ეს არის ამინდის არახელსაყრელი პირობების გამო ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფისა და შესაბამისად მისი პირველადი გადამუშავების რამდენამდე შენელებული ტემპი. მაგალითად, საანგარიშო პერიოდში „საქართველოს ჩაის“ გაერთიანებაში წარმოების მოცულობა გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 11,5 პროცენტით შემცირდა.

კვლავაც აფერხებენ მრეწველობის განვითარებას საკვანძო დაქვემდებარების საწარმოები. ბევრ მათგანს ამ ბოლო ხანს ხშირად და საკმაოდ სერიოზულად აკრიტიკებენ აშკარად სუსტი მუშაობისათვის. მაგრამ, როგორც ჩანს, ისინი შეეჩვივნენ ამას და შეურიგდნენ სამეურნეო საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებებსა და ხარვეზებს.

მაგალითად, სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა წარმოების მოცულობა დასახული გადიდების ნაცვლად, თითქმის 7,5 პროცენტით შეამცირეს, ფერადი ლითონების სამინისტროს საწარმოებმა — 9,5 პროცენტით, შავი მეტალურგიის სამინისტროს საწარმოებმა — 2,2 პროცენტით და ა. შ.

ხუთი თვის შედეგების მიხედვით საკავშირო დაქვემდებარების საწარმოები წარმოების ზრდის ტემპს უზრუნველყოფენ 5,1 პროცენტით, მაშინ როცა წლიური დავალებაა 7,5 პროცენტი, ხოლო შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპს — 3 პროცენტით, როცა დავალებაა 5,2 პროცენტი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოსთხოვა პარტიის საოლქო, საქალაქო რაიონულ კომიტეტებს, რომ გააძლიერონ მომთხოვნელობა სამეურნეო ხელმძღვანელებისადმი, მიაღწიონ იმას, რომ ეს ჩამორჩენა უახლოეს დროში აღმოიფხვრას. პარტიული კომიტეტები და ადგილობრივი საბჭოთა ორგანოები პასუხს აგებენ საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებში საქმის ვითარებისათვის. ეს საწარმოები ხომ ყველაზე მრავალრიცხოვანი, ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე ორგანიზებული საწარმოებია და, რა თქმა უნდა, იმ აზრსაც ვერ შევურიგდებით, რომ მათს კოლექტივებს შეუძლიათ უმტყუნონ რესპუბლიკას, მთელ ქვეყანას.

სამწუხაროდ, რესპუბლიკაში გაჩნდა არა მარტო ცალკეული ჩამორჩენილი საწარმოები, არამედ მთელი სამინისტროებიც. მაგალითად, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს წლის დამდეგიდან ჯერ არც ერთხელ არ შეუსრულებია გეგმა. ქრონიკულად ჩამორჩებიან ამ სამინისტროს სისტემაში შემავალი გარდაბნის მუყაო-რუბეროიდის ქარხანა და კასპის ცემენტ-ფიქლის კომბინატი.

მაინცდამაინც კარგად ვერა აქვთ საქმე ვერც ისეთ ცალკეულ რეგიონებში, როგორიც არის მაგალითად რუსთავი, სადაც ვერ სრულდება პროდუქციის წარმოების საგეგმო დავალებანი და მდგომარეობა შარშანდელზე უარესი აღმოჩნდა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, სადაც მატების ტემპმა მხოლოდ 1,2 პროცენტი შეადგინა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი — 0,9 პროცენტი, გორი — 0,3 პროცენტი, ჯიათურა — 3,6 პროცენტი, ქუთაისი — 4,8 პროცენტი და სხვ. გასული წლის დონეზე ნაკლები სამრეწველო პროდუქცია გამოუშვეს ტყიბულსა და წყალტუბოში.

სხდომამ სერიოზული შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ ზოგიერთი სამინისტრო და საწარმო ესწრაფვიან გეგმების კორექტირებას მათი შემცირების მიზნით.

ჩამორჩენილი რეგიონები და საწარმოები, რომლებიც სისტემატურად ეწევიან გეგმების კორექტირებას მათი შემცირების მიზნით, საწარმოები, რომლებიც აცდენენ ნაკლებ წარმოების მოცულობას მიღწეულ დონესთან შედარებით, — აი ერთ-ერთი ძირითადი დაბრკოლება, რომელიც ხელს უშლის ჩვენს წინსვლას და დასახულ დავალებათა წარმატებით შესრულებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დასახა ამოცანა, რომ უახლოეს დროში მთლიანად დაძლიონ საწარმოთა ჩამორჩენა, აღმოფხვრან საგეგმო დავალებათა დაუსაბუთებელი კორექტირება, არ დაუშვან წარმოების მოცულობის შემცირება მიღწეულ დონესთან შედარებით.

პარტიულმა კომიტეტებმა უნდა შეიმუშაონ მთელი მუშაობის მწყობრი სისტემა, მკაცრი კონტროლი გაუწიონ გამოვლენილი რეზერვების რეალიზაციას, მკაცრად მოკვეთონ საწარმოთა ხელმძღვანელებს, რომელნიც ჯეროვნად ვერ აფასებენ არსებულ შესაძლებლობებს, მიაღწიონ პარტიულ ორგანიზაციათა აქტიურობას სამრეწველო წარმოების სისტემატური ზრდისათვის ბრძოლაში. სწორედ ასეთი მოთხოვნები წაუყენეს რესპუბლიკას ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, პირადად ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს, რომ საქართველოს კომუნისტური ორგანიზაცია პირნათლად შეასრულებს მის წინაშე დასახულ ამოცანებს, წარმატებით დაამთავრებს მეათე ხუთწლედს, ახალი სახელოვანი პატრიოტული საქმეებით შეხვდება ჩვენი ლენინური პარტიის XXVI ყრილობას.

(საქინფორმი).

საერთაშორისო ცხოვრება
დღიურის ჩანაწერებიდან

გვაღფოგინებენ საბჭოთა და ახალი ამბების საგენტოს კორესპონდენტები

# ახალ საფეხურზე ავიყვანოთ ხარისხისათვის ზრუნვა

(დასასრული)

საჭიროა აგრეთვე უფრო გაბედულად დავნერგოთ ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემა სოფლად, როგორც ამას აკეთებენ, მაგალითად, ყვარლის რაიონში. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დასახა ამოცანა, მივაღწიოთ იმას, რომ მინდვრებისა და ფერმების პროდუქტიულობა ფასდებოდეს როგორც პროდუქციის რაოდენობით, ისე ხარისხით, უფრო გაბედულად დავნერგოთ სოფლის მეურნეობის სამეშაოების რესპუბლიკური და შიდასამეურნეო სტანდარტები, ზუსტი კონტროლი დავაწესოთ მათი დაცვისადმი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოითხოვს აგრეთვე, რომ სამოქალაქო-სამართლებრივ და სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობასთან ერთად, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად ადმინისტრაციულ-სამართლებრივ პასუხისგებაში მისცეს უხარისხო პროდუქციის გამომშვებნი, ამასთან ასეთი სანქციები გამოყენებულ უნდა იქნეს როგორც საწარმოებისადმი, ისე თანამდებობის პირებისადმი.

საწარმოებს კონტროლი და ქმედითი დახმარება ყოველდღიურად და ოპერატიულად უნდა გაუწიონ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან, სამინისტროებთან და უწყებებთან არსებულმა ხარისხის კომისიებმა. საქართველოს კომპარტიის ბაათუმის საქალაქო კომიტეტის კომისიამ ყოველი ღონე უნდა იხმაროს იმისათვის, რომ აღმოფხვრას საყოფაცხოვრებო მანქანათმშენებლობის, ელექტრომექანიკური, მანქანათსაშენებელი ქარხნებისა და ქარხანა „კაკასტრანსფორმატორ-ს“ ჩამორჩენა, გაზარდოს აპარის დედაქალაქში ხარისხისნიშნიანი პროდუქციის გამოშვება.

